

სახალხო გაზეტი

სუკათებიანი ჟამათება


გაზეთის № 689

ლამასების № 121


კვირა, 2 სექტემბერი 1912 წ.



აკაკი ზუგდიდი, 1912 წ. 6 მაისს.
ბერიძის პატარა ქალმა ყვავილების ქნარი მიართვა.



ანანურის ტაძარი, ფერადებით ნახატი ალ. ციმაკურიძისა.



„მთულფნელი სტუდია“

(უკ ლამურ) დრამა 1 მოქმ. ენნიკისა.

გადმოკეთებული ემილ ზოლას მოთხრობიდან.

თარგმანი ნ. გოცირიძის მიერ.

მ ო მ ძ მ ე დ ნ ი კ ი რ ნ ი.

- | | |
|-------------|---------------|
| 1) უკ ლამურ | 4) ფელისი. |
| 2) სანიარ | 5) პოლინა. |
| 3) ბერრიუ | 6) ფრანსუაზა. |

გამოსვლა 1-ლი.

სანიარ, ფელისი, პოლინა და ფრანსუაზა.

(სანიარ სტოლთან ზის და გაზეთსა კითხულობს, პოლინას და ფრანსუაზას აცვით სასეირნო ტანისამოსი).

ფელისა. (ფრანსუაზას) მაშ, ასე, მოიქეცი ისე, როგორც გითხარით: ცოტა ხანს ბავშვი ბაღში ასეირნეთ და, როცა მოკშივდეს, უყიდეთ ხაჭაპურები.

ფრანსუაზა. მესმის, ქალბატონო.

ფელისა. (პოლინას) შენ-კი, პოლინა, იცოდე რომ, სასტიკად გიკრძალავ ქუჩის ბიჭებთან თამაშობას, გესმის, სასტიკად გიკრძალავ.

სანიარ. ოჰ! ოჰ! ოჰ! ოჰ! ამნისტიის გამო გუშინ კიდევ დაბრუნებულა მთელი პარტია გაგზავნილებისა 300 კაცი. ნუ-მეიდან გამოსვლისას ზღვაზე ისეთი დელვა ატეხილა, რომ კინაღამ სულ ყველანი თავიანთი გემით დაღუპულან. (გადაადგებს გაზეთს) ო, ო, ეს კი არ იქნებოდა სახარბიელო რომ, ამშობლოში დაბრუნების მაგივრად გაგზავრებულიყვნენ მათა-პაპებთან, შენ რას იტყვი, ფელისა, ხომ არ იქნებოდა სა-არბიელო?

ფელ. რაღა თქმა უნდა, არა.

პოლინა. (ლოყას მიუშვერს დედას) მშვიდობით, დედა! (ჰკოცნის დედა, კარებისაკენ წავა) მშვიდობით, მამა!

სან. (ის იყო გაზეთი აიღო) განა ასე ემშვიდობებიან მამას? ჰაჰ!

პოლ. ეს განგებ ჩავიდინე, მინდოდა მომეტყუებინე (მიირბენს მამასთან).

სან. აა, შე ცეცქო! (დაისომს მუხლებზე და აქანავებს) ჰოპ-ლა, ჰოპ-ლა, პატარა ქალბატონო სანიარ?

პოლ. (ჩუმად მამას) მამა? მომეცი ორი სუ.

სან. (ეგრეთვე ჩუმად. აღარ აქანავებს) რად გინდა?

პოლ. (გადაჰხედავს დედას და უფრო ჩუმად) მინდა ბურთი ვიყიდო.

სან. ბურთი? ა, ა, ა! (გადაჰხედავს ცოლს, ჯიბიდან ამოიღებს ფულს და აძლევს) ჩქარა გამომართვი, დედამ არ დაგინახოს.

პოლ. გმადლობ, მამა! წავიდეთ, ფრანსუაზა. (გადიან).

ფელ. (მიმავალით) გთხოვთ, ფრანსუაზა, ფრთხილად ატაროთ ბავშვი. განსაკუთრებით როცა ქუჩას გადადიოდეთ.

გამოსვლა 2-რე.

ფელისა და სანიარ.

სანიარ. (იხმორება და ამთქარებს) მე წავალ, ცოტა წავთვლომ, მთელ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს ამ დაწყევლილ საყასბოში. ვერ წარმოიდგენ როგორ დავილაღე (ამთქნარებს).

ფელისა. როგორ არ დაიღლებოდი! იცი, ჩემო მეგობარო, მართლა რომ, ძრიელ ბევრსა ჰმუშაობ, ძრიელ ბევრსა.

სანიარ. არა მიშავს-რა, წავიძინებ ერთ-ორს საათს და სულ გაივლის.

ფელ. ეგ-კი ასეა, მაგრამ, ჩემის აზრით, მაინც ძრიელ ბევრსა ჰმუშაობ.

სან. ჩემის აზრით-კი იმდენს არა ვმუშაობ, რომ ჩემი ცოლი ტიკინასავით მოვრთო. (ფელისი თვალებს დახრის) მე-რე, იცი, მინდა, ჩვენი საყასბო ისე გავაფართოვო, რომ პირველი იყოს ამ უბანში, თუმცა-კი არც ეხლაა უკანასკნელი. (კმაყოფილების ღიმილით) მე-რე იცი? როცა დაებრდებით და წავალთ სოფელში დასასვენებლად, საჭირო იქნება გვყავდეს ცხენი, ო! ცხენი უეჭველად საჭირო იქნება უფრო იმიტომ, რომ როდესაც ჩვენი ბავშვი გაიზდება და გავათხოვებთ ხომ უნდა წავიდეთ ხოლმე იმის სანახავად? ჰო, და ეხლავე ვყაირათობ, ფული შევავროვო იმ ცხენის საყიდლად, რომლითაც ჩვენ უნდა ვიაროთ ქალის სანახავად. თუ თვითონ არ იყაირათე და ბიჭების ანაბარად მიაგდე საქმე, ორ დღეში ყველაფერი ხელიდან გამოგვეცლება.

ფელ. ოჰ! რომ იცოდე რა ბედნიერებაა ჩემთვის, რომ ბედმა შენი თავი მარგუნა. მე მგონია, რომ, შენზე კარგი კა-

ტ ფ ი ლ ი ს ი ს ს ა ხ ა ზ ი ნ ო



მარიამ ივანეს ასული ალექსო (დრამატული სოპრანო).

ცი ქვეყანაზე არ მოიძებნება. (ნახად) არა, შენ, შენ-კი სუ სხვა აზრისა ხარ ჩემზე.

სან. აბა, რას ამბობ? ეგ რამ გაფიქრებინა?

ფელ. აი რამ: მე ხომ მთლად გლახაკი ვიყავი როდესაც შენ გამიცანი და ამიყვანე. რასაკვირველია შენს მდგომარეობაში მყოფს, შეგეძლო უფრო შენი შესაფერი ქალი შეგერთო.

სან. დღისი გულისათვის მითხარი რა საჭიროა ასეთი ლაპარაკი? შენ ძალიან კარგად იცი, რომ, მე დაუფიქრებლად კი არ დამიწვრია შენზე ჯვარი, დაქორწილებამდინ დავაფასე შენი ჰქვა, გული და იშვიათი გამოცდილება. ისე გენდობი როგორც ჩემს თავს. დღესვე რომ მოვეცდე, დარწმუნებული ვარ, ჩემი ფირმა ისევე გაფართოვებული იქნება შენს ხელში როგორც ეხლა. ეჰ! ლაპარაკადაც არა ღირს, მთელ ამ უბანში ვერ იპოვი ისეთ მოსაქმე ცოლს, როგორც შენა ხარ და ისეთ ბედნიერ ქმარს როგორც მე. (მოძრაობა ფელისისა) ასე არ არის?

ფელ. მე არც გეწინააღმდეგები. მხოლოდ არ მინდა ჰფიქრობდე, ვითომც მე ვცდილობდი გათხოვებას.

სან. არას დროს არ მიფიქრია. პირველ ქმართან ისე უბედურად ცხოვრობდი, რომ მეორედ გათხოვებაზე შენი დათანხმება ძნელი უნდა ყოფილიყო.

ფელ. ეჰ! რა საჭიროა წარსულის მოგონება. ის დიდი ხანია მოკვდა, მ წელიწადია იმისი აღარა გამოვიარა. რა თქმა უნდა, ის ეხლა მკვდარია. არ ვიცი-კი სად. და როდესაც იმას მოვიგონებ რაღაც მძიმე (?) გრძნობა მტანჯავს, რასაკვირველია სიყვარულს ალაგა არ აქვს. ოჰ! ის რომ კარგი მგრძნობიარე მამა ყოფილიყო ოჯახზე უფრო მეტს იფიქრებდა, ვინემ პოლიტიკაზე. იმისთანა კაცის მოგონება არც-კი ღირს, მაგრამ, ჩემდა უნებურად ხშირად მაგონდება.

სან. ეს სულ გაზეთების ბრალია, რომლებმაც ამნისტიასე მოუწმირეს წერა და მეც რაღაც ეშმაკად წამოვროშ-გაგზავნილების შესახებ, რომლებიც ამნისტიის ძალით გაანე თავისუფლეს.

თ ე ა ტ რ ი . ა ნ ტ რ ე ზ რ ი ზ ა ი . ზ . ფ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი ს ა .

(სეზონი 1912—1913 წ.)



ივანე პეტრეს ძე ფალიაშვილი.

ანტრეპრენიორი და ლობტბარი ტფილისის სახაზინო თეატრისა. სეზონი 1912—1913 წლ.



ანა ევგენის ასული ლუკაშვიჩი.
(მეცო სოპრანო).



ზაკარია პეტრეს ძე ფალიაშვილი.
ლობტბარი სეზონი 1912—1913 წლ.

ფელ. ოჰ, ყოველ დღე ბრუნდებიან ის უბედურები, ყოველ დღე! რა იქნება რომ იმ დაბრუნებულებში ისიც ვერ იქნება?

სან. მერე, ეგ ძალიან გინდა?

ფელ. ღმერთმა დამიფაროს? მე ისეთი უმადური არა ვარ, რომ დავიჯიწყო შენი სიკეთე. მერე და რა დამართებო და ჩვენ პოლინას, ჩემს საყვარელ გოგონას?!.. სხვა რომ არა იყოს რა, შენ ხომ იცი, რომ შენის მეტი მე ქვეყანაზე არავინ მიყვარს. იქნება ჩემი სიტყვები არ გჯერა? აი თუ არ გჯერა! (მაგრა ჰკოცნის) აი, თუ არ გჯერა! მოიცა, სად არის შენი ხელსახვევი? კიდევ დაგვიწყდა შეკვრა? ამის შემდეგ ლირს ჰგანა შენი კოცნა?

სან. (გახარებული) რა ყელსახვევისათვის მცხელა ეხლა, აღარც-კი მეძინება, ღმერთმანი, აღარ მეძინება.

ფელ. არა, ძილი ეხლა შენთვის ძალიან საჭიროა, ერთი საათით მაინც, გაიგე? გესმის თუ არა, რასაც გეუბნები?

სან. კარგი, კარგი, ხომ გაჰალვებებ ერთი საათის შემდეგ?

ფელ. რასაკვირველია გაგალვებებ.

სან. (კოცნის) მაშ, მე მივდივარ (მიდის და შედგება). იცი რა ფელისი, მე გაზეთებს აღარ ვიყიდი: მომაბეზრეს თავი თავიანთ ამინსტიით. (ამთქარებს) მშვიდობით (გაღის).

გამოსვლა 3-მე.
(ფელისა მარტო, მერე ბერრიუ).

ფელისა. (კოცნა ხანს ოთახს ალაგებს).

ბერრიუ. (შემოდის მარჯვენა კარით, კოცნა გადაკრულია) გამარჯობა, ქ-ნო სანიარ!

ფელ. ბერრიუ! ბერ. დიან, ქალბატონო სანიარ, დიდად მშვენიერო ქ-ნო სანიარ, მე გახლავარ. გიკვირთ? მაგრამ არც საკვირველია, თითქმის 8 წელიწადია რაც ჩვენ ერთმანეთი არ გვინახავს.

ფელ. ბერრიუ!
ბერ. დიან! დიან! ბერრიუ, როგორცა მხედავთ; საოხანა, გარყვნილი ბერრიუ ურომლისოდ თქვენი პირველი ქმარი ღვინოს არა ღროს არ დაოცდა (პაუზა). ალბად ძალიან გამოცვლილვარ და დაიბერებულვარ ამ ხნის განმავლობაში რომ ეგრე გოცეხული მიცქერით (პაუზა). სწორედ მოგახსენოდ, აქ რომ მოვდიოდი მე შეგონა სულ სხვანაირად მიმედებდით (პაუზა). რა წარბი შეიქმუხნეთ? (ფელისის მოძრაობა) დალახვროს ღმერთმა, იყო დრო ჩემს მოსვლისას წარბს

არ შეიქმუხნიდით ხოლმე. ალბად კარგ დროს არ მოგსულ-
ვარ.

ფელ. (სასტიკად) რა გნებავთ ჩემგან?

ბერ. არაფერი. გამოვიარე თქვენი სახლის წინ და ვი-
ფიქრე: მოდი, შევალ და გავიგებ, როგორა ცხოვრობს ქ-ნი
სანიარ მეთქი.

ფელ. ხომ მნახეთ, სხვა რაღა გნებავთ? მშვიდობით
ბძანდებოდეთ.

ბერ. სხვა რაღა მნებავს? აი, სასიამოვნო კითხვა, თით-
ქოს აკრძალული იყოს ძველი ნაცნობების ნახვა. ნება მიბო-
ძეთ გავიგო, მაგალითად, როგორ არის პაწაწინა ლუიზა? ო!
მე მგონია ის ეხლა პაწაწინა აღარ არის.

ფელ. (აღელვებული) რა თქვენი საქმეა? მე მგონია ეგ
თქვენ არ შეგეხებათ.

ბერ. ან როგორ იმყოფება თქვენი მეუღლე ბ-ნი სანიარ.

ფელ. სძინავს. თქვენ ის გპირდებით რისთვისმე?

ბერ. რამდენადაც თქვენ. მოითმინეთ, საით მიბძანდე-
ბით? ცოტა მაინც მივიხედ-მოვიხედო. (ოთახს ათვალიერებს)
დალახეროს ეშმაკმა, რა განცხრომითა ცხოვრობთ. ავეჯი
წითელი ხისაა, დიახ, ნამდვილი წითელი ხისაა! ცხოვრებაც
ასეთი უნდა! ბურჟუასაც არ ექნება ასეთი სასადილო,
ეჰ! მე მგონია ამ 8 წლის წინად არც-კი ოცნებობდით ამ
გვარ სიმდიდრეზე. გახსოვთ თქვენი ბინა ანფიერუის ქუჩაზე
მენილომონტანში?.. მე და—არ მახსოვდეს? სამი ისეთი ვიწრო
ოთახი გექირათ რომ, როგორც იტყვიან თავი კუდს ვერ
მოიქნევდა, მაგრამ რა მხიარულად ცხოვრობდით. რა მხიარ-
ულად ვყლაპავდით?! მართალია ამ გვარი ძვირფასი ავეჯი
არ გექონდა, მაგრამ უამავეჯოთაც შეგვეძლო მხიარულება.
(პაუზა) ეჰ! სულ სხვა იქნებოდა, რომ ამ ფუფუნებაში ჩემი
ძველი ამხანაგი მენახა.

ფელ. მითხარით, ღეთის გულისათვის: დამანებებთ თავს,
თუ არა?! ან და როგორ გაბედეთ აქ შემოსვლა; მართლა და
კაცს სულ არ უნდა ჰქონდეს სინილისი, რომ თვალში უფარ-
დებოდეს იმ ქალს რომელსაც ამდონი მწუხარება მიაყენეს;
(ბერრიუს შეინძრევა) გახსოვთ, თავს ნუ იმართლებთ. ნუ თუ
თქვენ არ გააუბედურეთ ჩემი საწყალი ჟაკი? თქვენ არ ჩაი-
თრით იმ წყვეულ პოლიტიკაში? ოჰ! თქვენ რომ არა ყოფი-
ლიყავით, იქნება სულ სხვანაირად ყოფილიყო ჩვენი საქმე.

ბერ. ოჰ! რასაკვირველია ყველაფერში მე ვარ დამნაშა-
ვე. ნება მიბოძეთ გკითხოთ, ვინ იყო ის რომელიც აჩერებდა
ყოველ უაზრო ნაბიჯის გადადგმისაგან, თუ არა მე? იმას რომ
ჩემთვის ყური ეგდო, ვარწმუნებთ, არ გაგზავნიდნენ; გესმით,
არას დროს არ გაგზავნიდნენ (ფელისი მხრებს იწევს) აი, მე
რატომ არ გამგზავნენ?

ფელ. რა თქმა უნდა, თქვენ მოახერხეთ დროზე და-
მაღვა.

ბერ. ეგ მართალია, მაგრამ იცით რამდონს ვნანობდი
ჩემი სულმოკლეობისათვის?

ფელ. დიახ, არ შეიძლება ითქვას რომ თქვენ გამოიჩინ-
ეთ ლამურის მიმართ განსაკუთრებული თავ-განწირვა.

ბერ. თქვენ კი გამოიჩინეთ? განა ყველაზე წინად თქვენ,
თქვენ თავზე არ იფიქრეთ. როგორც კი ლამური გაგზავნეს,
თქვენ მალე დაბინავდით მდიდარ და მსუქან ყასაბთან ბატი-
ნოლში, არა მგონია რომ ეს თქვენი საქციელი იყოს შედე-
გი თქვენის სულგრძელობისა.

ფელ. როგორც მოვიქცევი, ეგ თქვენი საქმე არ არის,
ამაზე ლაპარაკი კმარა. მე ყოველთვის ვამბობდი და ვიმეო-
რებ, რომ ჟაკ ლამურ ჩინებული კაცი იყო და რაც დაემარ-
თა მხოლოდ თქვენის წყალობით, მე არ ვამბობ, რომ თქვენ
იყავით ბოროტი, მაგრამ თქვენ იყავით ზარმაცი მოქიფე,
დაეთრევოდით იქ, სადაც გეგულვებოდათ გადასახუნი. სხვისა
რა მოგახსენოთ და საიმისოდ კი კარგი ყნოსვა გაქვთ.

ბერ. რა არის ამაში ცუდი, რომ კარგი ყნოსვა მაქვს?

ფელ. ჰო! მაგრამ ანგარიში შეგშლიათ, ჩემო მეგობარ ო.
ეხლანდელი ჩემი ოჯახი ლოთებისათვის და მუქთა-მჭამელე-
ბისათვის არ გახლავთ. შეგიძლიანთ: როგორც მობძანდით
ისე მიბძანდეთ.

ბერ. მაგას კიდევ ვნახავთ! ძალიანაც ნუ გამოიდებთ
თავსა. თუ მოვიდა ჟაკ ლამური, ის თქვენ ბევრ ლაპარაკს არ
დაგიწყებდათ.

ფელ. ლამურ ვერ მოვა, რადგან ის უკვე მკვდარია.

ბერ. ვითომ? მე კი ისე მგონია, რომ დღეს ბულვარზე
ვნახე.

ფელ. აქ იმიტომ მოხველით, რომ გამაგონოთ უთავბო-
ლო ლაპარაკი?

ბერ. (მნიშვნელოვნად) დიახ, მაგისათვის ვიხველით.
(მუშტარის ხმა, არაკუნებენ. ფანჯრიდან. ფელისა მიდის კა-
სასთან. „ორი გირვანქა სუკი 2 ფრანკი და 25 სანტიმი“ (სანამ
ფელისი კასასთან არის, ბერრიუს მარჯვენა კარს გააღებს და
ვილასაც ხელით ანიშნებს შემოსვლას. შემოდის ჟაკ ლამური
და ბერრიუს ამოეფარება).

ფელ. (მოვაქრე ქალს) თქვენები ხომ ყველანი კარგად
არიან?

ქალის ხმა. გამაღობთ, ყველანი. თქვენი ქალი?

ფელ. არა უშავს—რა, გამაღობთ. ეხლა სასიეროდ გავ-
გზავნე. (აძლევს ხურდას, ხურავს კასის ფანჯარას და ფულს
სთვლის. შემობრუნდება და დაინახავს ბერრიუსს) თქვენ კიდევ
აქა ხართ? დამანებებთ თუ არა თავს?

ბერ. მე... მე კი... თავს დაგანებებთ მაგრამ, აი, ამას კი,
ჩემს მეგობარს თქვენთან ცოტა ლაპარაკი სურს.

გამოსვლა 4-ზე.

იგნივე და ჟაკ ლამური.

ლამური (დაგლეჯილი ტანისამოსი აცვია, გლახაკურად-
თმა და წვერი მოუკრეკავი).

ფელ. (ლამურს ვერ სცნობს) თქვენ ჩემთან რამე საქმე
გაქვთ? (პაუზა) ეგრე რად მიცქერით? (შეხედავს, უნდა დაი-
ყვიროს, მაგრამ თავს შეიკავებს, თითქოს ახრჩობენ) ჟაკ! ეს
შენა ხარ?.. ეს თქვენა ხართ?.. თქვენ... (ლამური ჩუმათ არის).

ბერ. დიახ, ეგ გახლავთ, რომელიც რამდენიმე დღეა რაც
თქვენ გეძებთ; თუ არა მე, მგონია ვერ გიპოვნიდით. ეს სულ
ჩემი საქმეა.

ფელ. (თავს იკავებს) რა გინდა ჩემგან? (პაუზა) ხომ გაი-
გებდი, რომ გავთხოვდი, მე არა ვარ დამნაშავე! მე მეგონა
შენ მკვდარი იყავი.

ლამ. როგორ შეგეძლო გგონებოდა, როდესაც მე წერი-
ლებს გწერდი?

ფელ. შენ წერილებს მწერდი?

ლამ. დიახ, მე. ხომ იცი მე ტყუილები არ ვიცი.

ფელ. გეფიცები რომ არ მიმიღია შენგან წერილები. არც
მე ვიცი ტყუილი ლაპარაკი. შენ ხომ მიცნობ... მე მაქვს მოწ-
მობა შენი სიკვდილისა... ეხლაგ გაჩვენებ... (იღებს მოწმობას
სტოლის უჯრიდან და აძლევს ლამურს) აი ხედავ?

ლამ. (ენა ებმის) ვხედავ.

ფელ. ღმერთს გეფიცები, მე ისე არა ვარ დამნაშავე რო-
გორც შენა გგონია... აბა, შენვე წარმოიდგინე, როდესაც შენ
გაგზავნეს, მე მარტო დავრჩი, უმწყოთ, გლახაკათ და თუ მე
დავემორჩილე კაცს, რომელიც ჩემს მდგომარეობაში შევიდა,
აქ მე ვერ ვხედავ დანაშაულს. ჩემს ადგილას ყველა ასე მო-
იქცეოდა. ერთი მითხარი ვის არ უნდა რომ ბედნიერი იყოს?

ლამ. ისე ამბობ თითქოს ჩემთან მარტო მწუხარებას გა-
ნიცდიდი.

ფელ. მაინცა და მაინც სასიხარულო ბევრი არაფერი
იყო, ეს შენც კარგად იცი.

ლამ. სულ ერთია, მე წერილებსა გწერდი და ეს საკმა-
რისია.

ფელ. გიმეორებ, რომ შენი წერილი არ მიმიღია-მეთქი,
მაგრამ ეს არც საკვირველია... რადგან ყველა სახლიდან მაგ-
დებდნენ. უკანასკნელი საიდან მომწერე?

ლამ. ამერიკიდან. მაგრამ იქ, სადაც ჩვენ ვიყავით გაგზა-
ვნილები მე დავკარგე ყოველი კვალი შენის არსებობისა... ამ-
ნაირი ცხოვრება ჩემთვის აუტანელი იყო. მაშინ, იქიდან გა-
ვიქცევი ჩემი სამი ამხანაგით, ჩემი თანამგზავნი დაიღუპნენ
გემის დაღუპვის დროს, მე კი რაღაც სასწაულით გადავრჩი.
შემდეგ გაზეთებიდან შევიტყე რომ მე ერთ-ერთი დაღუპულ-
თაგანი ვეგონე.

(დასახრული იქნება)

5. გოცირიძე.

